ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 447

"13" სექტემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 აგვისტოს №24.1477.1656 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქი თბილისი, ილორის ქუჩა N14 (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010)					
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ანა ხაბალაშვილი	43001027786	სართული 2	41.52	01.11.05.035.010.01.519
2	გულისა გრიგალაშვილი	01029000059	სართული 1	28.88	01.11.05.035.010.01.500
3	თამარი კალმახელიძე	59001004654	სართული 2	48.23	01.11.05.035.010.01.517
4	მინაია გულიევი	01001078471	სართული 1	17.78	01.11.05.035.010.01.502